

სტუდენტებისათვის დამატებითი სასწავლო მასალა საბანში „წარმოების (კორპორაციის) მართვა“

წარმოების მართვის საბანი
და ამოცანები

ნოდარ ცანაშვა – ასოც. პროფ.

მართვას ადგილი აქვს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც ადამიანს უხდება მიზანდასახული საქმიანობა. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს მატერიალური წარმოება და ამ პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობები. რამდენადაც წარმოების პროცესში საწარმოო ურთიერთობებთან ერთად ყალიბდება სოციალური ურთიერთობები ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის წარმოების მართვის სისტემა მოიცავს ასევე წარმოების პროცესის რეგულირების სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ასპექტებს.

წარმოების მართვაზე მოთხოვნილება წარმოიშობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მართვას მოითხოვს ერთობლივად განხორციელებული რთული შრომა, რომელსაც გააჩნია კოორპირების გარკვეული მასშტაბები. თეორიულად ყოველგვარი ერთობლივად განხორციელებული შრომა ამა თუ იმ ზომით მოითხოვს მართვას, რომელიც შესდგება ცალკეული საწარმოო პროცესების რეგულირებისაგან, გამომდინარე მთელი წარმოების მიზანდასახული ფუნქციონირების აუცილებლობიდან.

წარმოების მართვის პროცესი განიხილება 2 ძირითადი ასპექტით: საწარმოო ნივთობრივი და ინფორმაციული ასპექტით.


საწარმოო ნივთობრივი ასპექტით წარმოების პროცესი წარმოადგენს საწარმოო ფონდ-

ბის წრებრუნვის პროცესს კონკრეტული სახის პროდუქციის საწარმოებლად.

ინფორმაციული ასპექტით მართვის პროცესი არის მმართველი და სამართავი სისტემების ურთიერთზემოქმედების პროცესი. სამართავი სისტემა წარმოადგენს საწარმოო სისტემას, რომელზედაც მიმართულია მმართველი სისტემის სამმართველო ზემოქმედება. კონკრეტულ პირობებში მმართველ სისტემას წარმოადგენს მაგალითად ქარხანამმართველობა, ხოლო სამართავი სისტემას ცალკეული საამქროები. საამქროების დონეზე მმართველ სისტემას წარმოადგენს საამქროს უფროსები, ხოლო სამართავი სისტემას წარმოების ოსტატები. წარმოების ოსტატების დონეზე მმართველი სისტემა წარმოადგენს ოსტატების სახით, ხოლო სამართავი სისტემას ქმნიან წარმოების პროცესში დასაქმებული მუშები. ზემოქმედების შემდგომი ეტაპი წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე ზემოქმედების ეტაპს, რაც არ შეადგენს უშუალოდ წარმოების მართვის თეორიის შესწავლის საგანს და ამრიგად, მართვის პროცესში გამოიყოფა ზემოქმედების ორი ძირითადი ეტაპი.

1. ზემოქმედება წარმოების სისტემაში დასაქმებულ მომუშავეებზე, მშპ მართვის სუბიექტი.

2. ზემოქმედება წარმოების საშუალებებზე ანუ მართვის ობიექტი. წარმოების მართვის თეორია სწავლობს მართვის სუბიექტის ქცევის წესებს.



ამრიგად, წარმოების მართვის პროცესი ამ სიტყვის ფართო გაგებით წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების მიზანშეწონილი რეგულირების პროცესს, ამ პროცესში ერთის მხრივ არჩევენ მანქანების მექანიზმების, მოწყობილობის ანუ ნივთების მართვას, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანების მართვას.

წარმოების მართვა კონკრეტული ფორმით წარმოადგენს ზემოქმედებას, ადამიანთა კოლექტივებზე წარმოების პროცესში მათი საქმიანობის ორგანიზაციისა და კოორდინაციისათვის, რომლის მიზანია წარმოების საერთო მიზნების განხორციელება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მართვის მეცნიერების საგანს წარმოადგენს ადამიანთა კოლექტივებზე ზემოქმედების ფორმებისა და მეთოდების შესწავლა, რომელიც გულისხმობს მართვის თეორიის პრინციპების, მეთოდების, ტექნოლოგიის და ტექნიკური საშუალებების ერთიანობას.

მართვის თეორია სწავლობს მართვის ზოგად კანონზომიერებებს, რომელიც საფუძვლად ედება მართვის კონკრეტული ფორმებსა და მეთოდებს. მართვის პრინციპები ახასიათებს მართვის საერთო კანონზომიერებებს, სამოქმედო წესებსა და დებულებებს, რომელთა მიხედვითაც ყალიბდება მართვის ძირითადი კანონები.

მართვის ტექნოლოგია განსაზღვრავს სამმართველო ფუნქციათა განხორციელების ცალკეულ ეტაპებს და ამ ფუნქციათა შინაარსს. მართვის ტექნიკური საშუალებები მართვის ცალკეულ სამმართველო ფუნქციათა შესრულების ხარისხისა და ოპერატიულობის ამაღლებას უწყობს ხელს.

წარმოების მართვის ობიექტური კანონზომიერებები და პრინციპები

1. წარმოების მართვის ძირითადი კანონზომიერებები.

წარმოების მართვა ემყარება წარმოების ძირითად კანონზომიერებებს და ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს.

ამასთან წარმოების მართვას გააჩნია საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები, რომელთა რეალიზაცია ხდება სამმართველო ამოცანების განხორციელების პროცესში. წარმოების მართვის ზოგად კანონზომიერებებს მიეკუთვნება:

1. მართვის პრინციპების ერთიანობის უზრუნველყოფა იერარქიული სისტემის ყველა დონეზე.

2. აუცილებელი პროპორციულობისა და თანაფარდობის უზრუნველყოფა საწარმოო სამ-

მართველო სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის. ეს მოიცავს დიდ სისტემებს, დარგებს, ცალკეულ საწარმოებს შიგნიდან და გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მათ.

3. საწარმოო ფონდების წრებრუნვის პროცესის რიტმულობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს თვით საწარმოო პროცესების რიტმულობასა და უწყვეტობას, მატერიალურ ტექნიკური მომარაგების და გასაღების პროცესის რიტმულობას და უწყვეტობას, ძირითადი საწარმოო ფონდების მწყობრიდან გამოსვლის ადგენის პროცესის რიტმულობას და უწყვეტობას.

მართვის ზოგადი კანონზომიერებებიდან გამომდინარე ყალიბდება მართვის ძირითადი კანონები:

1. გეგმაზომიერი მართვის კანონი;
2. მართვის ერთიანობის კანონი;
3. მმართველი და სამართავი სისტემების ოპტიმალური თანაფარდობის კანონი;
4. მართვის ფუნქციათა ცვლილების კანონი;
5. მართვის რგოლებისა და საფეხურების შემცირების კანონი;
6. მართვის ფუნქციათა კონცენტრაციის კანონი;
7. მართვის კონტროლის გავრცელების კანონი და სხვა.

2. წარმოების მართვის ძირითადი პრინციპები.

მართვის ძირითადი პრინციპები წარმოადგენს ძირითად დებულებებს, სახელმძღვანელო წესებს, ქცევის ნორმებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ მართვის ორგანოები იმ სოციალ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულ ქვეყანაშია ჩამოყალიბებული. ეს პრინციპებია:

- დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ოპტიმალური შეთანაწყობის პრინციპი;
- მატერიალური და მორალური სტიმულირების პრინციპი;
- მართვის მეცნიერულობის პრინციპი;
- მართვის სისტემის მუდმივი განვითარების პრინციპი;
- კოლეგიალობის და ერთმართველობის ოპტიმალური შეხამების პრინციპი და სხვა.

მართვის კანონები ყოველთვის როდი მოქმედებენ მენეჯერისათვის სასურველი მიმართულებით, ამიტომ საჭიროა მათი მოქმედების ბუნების შეცვლა, რათა შეიზღუდოს მათი ნეგატიური როლი (მაგ. მართვის საფეხურების შემცირების და მართვის ფუნქციათა კონცენტრაციის


კანონებს აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები, რასაც არაფექტური მართვისაკენ მივყავართ). ამ მიმართულებით მოქმედებენ სწორედ მართვის პრინციპები, ისინი გამომდინარეობენ რა მართვის კანონებიდან, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათი პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით.

პრინციპები წარმოადგენენ იმ სახელმძღვანელო წესებს და დებულებებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ ცალკეული მენეჯერები და მართვის ორგანოები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. კანონებისაგან განსხვავებით ისინი იქმნება თვით მენეჯერების მიერ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე.

მართვის მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლები

მართვას მეცნიერება წარმოადგენს დარგთაშორის მეცნიერებას, რომლის მეთოდოლოგიური საფუძვლები ყალიბდება საზოგადოებრივი კვლევარმოების პროცესის განხორციელების მოთხოვნებიდან გამომდინარე. მართვის მეცნიერება მიეკუთვნება საზოგადოებრივ მეცნიერებას, ამასთან მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები ყალიბდება საზოგადოების სისტემაში ეკონომიკური სისტემის როლისა და ადგილიდან გამომდინარე.

ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს წარმოების პროცესის, წარმოების საშუალებების და შრომითი რესურსების ერთობლიობას.



ეკონომიკური სისტემა იმყოფება ორი დიდი სუპერსისტემის საზოგადოების და რესურსების სისტემების გადაკვეთაზე, რომელიც მოწოდებულია გარდაქმნას ბუნებაში არსებული მატერიალური რესურსები საზოგადოებრივი მოთხოვნებისათვის აუცილებელ პროდუქტებად. თუ ჩვენ ეკონომიკურ სისტემას განვიხილავთ როგორც საზოგადოებრივი სისტემის შემადგენლობაში ($E \in S$) მაშინ ამ შემთხვევაში მართვის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფია, ხოლო კვლევის მეთოდს საზოგადოების განვითარების კანონები და კანონზომიერებები. თუ ეკონომიკურ სისტემას განვიხილავთ რესურსების სისტემის შემადგენლობაში $E \in Q$ მაშინ განიხილება მართვის საწარ-

მო-ეკონომიკური ასპექტი. მართვის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორია, ხოლო კვლევის მეთოდად გამოიყენება მიკრო და მაკროეკონომიკური მიდგომა. თუ ეკონომიკურ სისტემას განვიხილავთ, როგორც მართვის სისტემას ზოგადად, მაშინ მართვის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კიბერნეტიკა, ხოლო კვლევის მეთოდებია სისტემური მიდგომა, ექსპერიმენტი და მოდელირება.

სისტემური მიდგომა გულისხმობს წარმოების მართვის პროცესების შესწავლას შედეგმიზეზობრივი კავშირების გათვალისწინებით, როგორც მართვის ერთიანი პროცესის ცალკეულ შემადგენელ ფაქტორებად წარმოადგენის აუცილებლობიდან გამომდინარე. სისტემური მიდგომის პრინციპიდან გამომდინარე შეისწავლება საწარმოო სისტემაზე მომქმედი ძირითადი ფაქტორები, ხდება მათი დაშლა ქვეფაქტორებად. შეისწავლება თითოეულ ქვეფაქტორზე მომქმედი ფაქტორები და ეს პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე არ მივაღწიოთ საწყის ფაქტორებამდე, რომლებიც შემდგომ გავლენას ახდენენ საწარმოო პროცესებზე.

ექსპერიმენტი გულისხმობს საწარმოო-სამეურნეო ხასიათის ამოცანების გადაწყვეტილებათა ექსპერიმენტირებას მცირე კოლექტივებში, რის შედეგადაც ხდება ამ დროს აპრობირებული ფორმებისა და მეთოდების ტირაჟირება მთელი საწარმოო კოლექტივის მასშტაბით. ექსპერიმენტისადმი ძირითადი მოთხოვნებია მისი წინასწარ, გულდასმით მომზადება, ყველა შესაძლო ფაქტორების გათვალისწინებით. წარუმატებელი ექსპერიმენტის შემთხვევაში უარს ვამბობთ ექსპერიმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაზე რათა უარყოფითი შედეგის დროს ზიანი არ მივაყენოთ მთლიანად საწარმოს.

ექსპერიმენტს მივმართავთ იმ შემთხვევაში, როდესაც ვნერგავთ ახალ მმართველობით ფორმებს და მეთოდებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

მოდელირება საშუალებას გვაძლევს წინასწარ შევისწავლოთ მომავალი სამმართველო სიტუაციები და მოვახდინოთ მათი მოდელირება. მოდელები შეიძლება იყოს მათემატიკური, სიტყვიერი, ფიზიკური. წარმოების მართვის სფეროში გავრცელებას პოულობს უმეტესად მათემატიკური მოდელები.

წარმოების მართვის აღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით ყალიბდება კონკრეტული სამმართველო სისტემები, სადაც წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ურთიერთობები საწარმოო სისტემებს შორის, პიროვნებებს შორის და ა.შ..

სისტემათაშორისი ურთიერთობები ყალიბდება ცალკეულ საწარმოო სისტემებს შორის, რომლებიც გამოდიან როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირები.

პიროვნებათაშორისი ურთიერთობები ყალიბდება საწარმოო სისტემაში დასაქმებულ პიროვნებებს შორის. უფრო ხშირად ადგილი აქვს ე.წ. შერეულ ურთიერთობებს, როგორც პიროვნებებს, ასევე საწარმოო სისტემებს შორის.

წარმოების მართვის სისტემა

მართვას ადგილი აქვს სხვადასხვა სისტემებში, სადაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლის პროცესები. მართვას ადგილი აქვს ცოცხალი ორგანიზმების სისტემებში, ბუნების სისტემებში, ტექნიკურ, ეკონომიკურ სისტემებში და ა.შ. სისტემის არსებობა წარმოადგენს სწორედ მართვის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობას. სისტემა მართვის მეცნიერების ძირითადი კატეგორიაა. მართვის სისტემას განმარტავენ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას, რომლის ფუნქციონირების პარამეტრები და საერთო კანონზომიერებები განსხვავდება მასში შემავალი ელემენტების თვისებებისაგან. სხვა სიტყვებით სისტემა მასში შემავალი ელემენტების კერძო თვისებებს გარდაქმნის სისტემის საერთო თვისებურებად, კანონზომიერებად.

სისტემები იყოფა ქვესისტემებად ანუ შემადგენელ ელემენტებად. ცალკეული ქვესისტემები ატარებენ სისტემის საერთო ნიშანთვისებებს და ამავე დროს მათ გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი თვისებები. მაგალითად საამქრო განიხილება როგორც წარმოების ქვესისტემა, რომელიც ატარებს წარმოების საერთო ნიშანთვისებებს, ამავე დროს მას გააჩნია დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი. საერთო ნიშნის მიხედვით სამმართველო სისტემები იყოფიან ორ დიდ ჯგუფად. ღია სისტემები და დახურული სისტემები. ღია სისტემები ხასიათდება ორგანიზაციის მაღალი დონით. ამ სისტემების დამახასიათებელი ნიშანია ინფორმაციის გაცვლა გარე გარემოსთან. ღია სისტემების მაგალითია ცოცხალი ორგანიზმის სისტემა, სხვადასხვა ბუნებრივი სისტემები. თუ ღია სისტემის კონტურებში ჩავრთავთ იმ გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა, ღია სისტემა გარდაიქმნება დახურულ სისტემად, რომლისათვის მმართველობითი უნარის მინიჭებისათვის აუცილებელია უკუკავშირის არსებობა. სისტემის ორგანიზებულობის სახომს წარმოადგენს სისტემის ენტოპრია, რაც

მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო უმართავი და მოუწესრიგებელია სისტემა. ენტროპია წარმოადგენს ინფორმაციის შებრუნებულ სიდიდეს. აქედან გამომდინარე წარმოების მართვის მეცნიერების მეორე ძირითად კატეგორიას წარმოადგენს ინფორმაცია.

მართვა მიმდინარეობს კონკრეტულ სისტემაში ინფორმაციის მოძრაობის საშუალებით. ამ ასპექტით მართვა ეს არის მიღებულ ინფორმაციაზე მიზანშეწონილი პასუხის გაცემის პროცესი, ანუ ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და გადაცემის პროცესი. ინფორმაცია წარმოადგენს სისტემის რაოდენობრივი და თვისობრივი მასახიათებლის აზრობრივ შედგენილობას.

მართვის სისტემის მცნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მართვის პროცესის ცნება, რომელიც გულისხმობს მართვის სისტემის ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებზე ზემოქმედებას. მართვის პროცესი მართვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს. მართვის პროცესის ცნებიდან გამომდინარე ყალიბდება სისტემის ელემენტებზე ზემოქმედების გარკვეული პირობები ანუ ე.წ. მართვადობის პირობები.

მართვის პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია მართვის სტრუქტურის არსებობა, ორგანიზაციის გარკვეული დონე, რომელმაც მართვის ელემენტების გარდაქმნის პროცესში უნდა უზრუნველყოს მართვის სტრუქტურის შენარჩუნება. მართვადობის ძირითადი პირობები შემდეგია:

1. მიზნობრივი კავშირების არსებობა მმართველი და სამართავი სისტემის ელემენტებს შორის, როდესაც სამმართველო ზემოქმედებაზე რეაგირებს სამართავი სისტემა. მართვის ასეთ სისტემას ეწოდება მართვის უკუკავშირის სისტემა.

- სისტემის მართვადობის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს სისტემაში ერთი უკუკავშირის მაინც არსებობა. ამასთან მართვის სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იყოს უკუკავშირის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მმართველი სისტემის მიერ მართალია გაიცემა სამმართველო ზემოქმედება, მაგრამ არ მოწმდება მასზე რეაგირება.

ეკონომიკურ სისტემებში უკუკავშირის როლს ჩვეულებრივად ასრულებს წარმოების ძირითადი ელემენტი – ადამიანი.

2. სისტემის დინამიურობა ანუ უნარი სამმართველო ზემოქმედების შედეგად შეიცვალოს ფუნქციონირების პარამეტრები ანუ გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეზე. სხვა სიტყვებით სისტემას უნდა გააჩნდეს დროში ცვლილებების უნარი.

3. სისტემაში ზემოქმედების პარამეტრების

არსებობა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სისტემის მდგომარეობის ცვლილება.

4. სისტემის უნარი მიიღოს და გააძლიეროს გარე ზემოქმედება და უზრუნველყოს ამის მიხედვით მართვის პროცესების გარდაქმნა.

5. სისტემის უნარი მოიპოვოს, მიიღოს და გადაამუშაოს ინფორმაცია.

6. სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე.

ზემოთ აღნიშნული მართვადობის პირობები წარმოადგენენ მართვის ზოგად პირობებს, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი სახის მართვის სისტემებისათვის. რაც შეეხება წარმოების სისტემას, იგი ასევე წარმოადგენს მართვად სისტემას და მასზე ვრცელდება ზემოთ აღნიშნული მართვადობის პირობები. ამასთან ეკონომიკური სისტემა თავისი ბუნებით განეკუთვნება ღია ტიპის სისტემებს. მაგრამ რადგან მასში ჩართულია ადამიანი, როგორც მართვის ელემენტი, რომელიც ასრულებს უკუკავშირის როლს, ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს როგორც დახურული სისტემა. ამრიგად ეკონომიკური სისტემა, როგორც მართვის სისტემა ფუნქციონირებს მატერიალურ ნივთობრივი და ინფორმაციული ასპექტით, აკმაყოფილებს მართვადობის პირობებს, განეკუთვნება რთულ დინამიურ სისტემებს და მასზე ვრცელდება ის ძირითადი კანონები და კანონზომიერებები, რაც დამახასიათებელია მართვის სისტემებისათვის ზოგადად.

კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტი

სხვა დისციპლინებთან შედარებით (მაგალითად, ქიმია, მათემატიკა), თანამედროვე ფინანსები არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა, ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ის გამოეყო ეკონომიკას ცალკე დისციპლინის სახით, რომელიც სწავლობს ფინანსური ბაზრებით განპირობებულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

როგორც ცნობილია, ბაზრების ორი სახე: ფინანსური ბაზრები და რეალური საქონლის ბაზრები. რეალური საქონელი – ფიზიკური ან მატერიალური პროდუქტია, მაგალითად ოქრო ან ხორბალი. ფინანსური აქტივები – საქონელია, რომელიც გვპირდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ნაღდი გადახდების სახით. ეს მაგალითად, ობლიგაციებია. ფინანსური ბაზარი – ბაზარია, სადაც ტარდება ოპერაციები ფინანსურ აქტივებთან. მაგალითად, აქცია წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ნაწილობრივ მფლობელობას და

რომელიც მფლობელს აძლევს უფლებას საწარმო-ემიტენტის პერიოდული გადახდების მიღებაზე. ფინანსური ბაზრის მაგალითია საფონდო ბაზარი, სადაც ხორციელდება აქციებთან დაკავშირებული ოპერაციები.

„ფინანსები“, როგორც დისციპლინა, შედგება სამი განყოფილებისაგან: 1. „კორპორაციების ფინანსური მენეჯმენტი“, რომელიც პირველ რიგში განიხილავს სახსრების მოზიდვისა და გამოყენების საკითხებს (კორპორაცია – ფირმაა მრავალი აქციონერით); 2. „ფინანსური ბაზრები და დაწესებულებები“; 3. „ინვესტიციები“.

კორპორაციაში ფინანსური მენეჯერი იძენს სახსრებს ფინანსურ ბაზარზე და ახდენს მათ ინვესტირებას რეალურ საქონელში. მაგალითად: სამშენებლო კომპანიის ფინანსურ მენეჯერს შეუძლია ისესხოს ფულადი სახსრები (გარიგება ფინანსურ ბაზარზე) ბუღდოზერის შესაძენად (სახსრების დაბანდება რეალურ საქონელში). რაც შეეხება ფინანსურ დაწესებულებებს, ფინანსური მენეჯერი იძენს სახსრებს ფინანსურ ბაზარზე და აბანდებს ფინანსურ აქტივებში. მაგალითად: ბანკის ფინანსურ მენეჯერს შეუძლია მოზიდოს დეპოზიტი, ანუ ისესხოს სახსრები ფინანსურ ბაზარზე და სესხის სახით წარუდგინოს ეს მოზიდული სახსრები კლიენტს საცხოვრებლის შესაძენად (ეს ისევ გარიგებაა ფინანსურ ბაზარზე).

კერძო კორპორაციების ფინანსური მენეჯმენტისა და ფინანსური დაწესებულებებისა და ბაზრების შესწავლის გარდა „ფინანსები“ შეიცავს ინვესტიციებს. აქ განიხილება ფინანსური აქტივების ოპტიმიზაციის (პორტფელის ჩამოყალიბების) საკითხებს და მოზიდული სახსრების განაწილება. კერძოდ, შეისწავლება გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საჭიროა თუ არა ჩვენს განკარგულებაში მყოფი სახსრების დაბანდება ერთი სახელწოდების აქციებში თუ უკეთესი იქნება აქციებისა და ობლიგაციების პორტფელის ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნული სამი მიმართულება ავსებს ერთმანეთს. ფინანსურ მენეჯერებს არ შეუძლიათ არ იმუშაონ ფინანსურ დაწესებულებებთან, მაგალითად ბანკებთან, და ერთდროულად მათ უნდა გაიტანონ თავისი კომპანიების აქციები საფონდო ბაზარზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათ ეს აქციები უნდა გახადონ მიმზიდველი ინვესტირებისთვის. ანუ „ფინანსების“ ერთი მიმართულების შესწავლა გულისხმობს მიმართულებების შესწავლასაც.

ფინანსური ღირებულების შექმნა

ფართო გაგებით ფინანსური ღირებულება იქმნება მხოლოდ რამდენიმე ცვლადის მონაწილეობით, სადაც უმნიშვნელოვანესია ფულადი სახსრების ნაკადი, დრო და რისკი. თუ ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელია, მაშინ რაც უფრო დიდია ფულადი სახსრების ნაკადი, გამოწვეული რომელიმე ფინანსური გადაწყვეტილების მიღებით, მით უფრო დიდ ღირებულებას ქმნის ეს გადაწყვეტილება. ანალოგიურად, ღირებულება დამოკიდებულია ფულადი სახსრების ნაკადის შემოსვლის ვადებზე. და, გარდა ამისა, ღირებულება დამოკიდებულია მათ მიღებასთან დაკავშირებულ რისკებზე.

პრაქტიკაში ღირებულების განმსაზღვრელი ეს სამი ძირითადი ცვლადი ურთიერთკავშირშია, ამიტომ საჭიროა მათი განხილვა ერთობლიობაში ფინანსური გადაწყვეტილების მნიშვნელობის შეფასების დროს. პოტენციურად მეტისმეტად სახიფათოა ერთ-ერთი ცვლადისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება სხვების საზიანოდ. მაგალითად: საერთო შეცდომაა ის, რომ რაც უფრო დიდია ფულადი სახსრების მოსალოდნელი ნაკადი, მით უფრო უკეთესია დაბანდება. ასეთი მტკიცება უაზროა, თუ არ არის გათვალისწინებული მათ მიღებასთან დაკავშირებული რისკები და ვადები.

კორპორაციული ფირმის მიზანი

ფირმის ძირითადი მიზანია საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია. ეს მიიღწევა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებით, როდესაც შემოსავლები აღემატება ხარჯებს. ეს მტკიცება ინტუიციური და გასაგებია, მაგრამ ფირმის ღირებულების მაქსიმიზაციის ფაქტიური საშუალებები ნაკლებად ცხადია. და, როგორც ჩვენ ვახსენეთ, ნებისმიერი სტრატეგია, რომელიც მიმართულია ფირმის ღირებულების შექმნაზე, ერთდროულად უნდა ითვალისწინებდეს სამ ძირითად ცვლადს: ფულადი სახსრების ნაკადს, ვადებსა და რისკებს. ანუ ამ სამი ცვლადის გათვალისწინება აუცილებელია კორპორაციის (კომპანიის) ამოცანების მიზანშეწონილობის განხილვის დროს.

კორპორაციული ფირმის ფინანსური ქვედანაყოფი

ფინანსური მენეჯერის საქმიანობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწე-

ყოს ფირმის საერთო მიზნის მიღწევას, რაც ითვალისწინებს სააქციო საკუთრების ღირებულების მაქსიმიზაციას. ჩვეულებრივ ფინანსური ქვედანაყოფის ხელმძღვანელია ვიცე-პრეზიდენტი ფინანსების დარგში ან უფროსი თანამდებობის პირი ფინანსურ საკითხებში, და, როგორც წესი, იგი უშუალოდ ექვემდებარება ფირმის პრეზიდენტს ან მთავარ მმართველს. როგორც წესი, ვიცე-პრეზიდენტს ფინანსების დარგში ძირითადად მხარს უჭერს ფინანსური განყოფილების უფროსი და მთავარი ბუღალტერი-კონტროლიორი. ნახატზე წარმოდგენილია მოვალეობების განაწილება ამ ორ თანამდებობის პირს შორის. მთავარი ბუღალტერი-კონტროლიორი პასუხისმგებელია იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან, კერძოდ ფინანსური ანგარიშებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე, გადასახადების გადახდასა და დაგეგმვაზე, ხელფასის გაცემაზე. ფინანსური განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია სახსრების შექმნაზე კაპიტალის ბაზრებზე აქციების გაყიდვის ან კრედიტების მიღების გზით და მათ ეფექტურ გამოყენებაზე. ორივე შემთხვევაში საჭიროა დიდი მოცულობის ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და მის საფუძველზე ფინანსური გეგმის შემუშავება, რომლის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ფირმის სააქციო საკუთრების ღირებულების ზრდას.

ფირმა იღებს სახსრებს აქციონერებზე წილების გაყიდვის ან ფულადი სახსრების სესხების გზით. მაგრამ ფულადი სახსრების მობილიზაცია ძვირია, ვინაიდან ფინანსური დახმარება უნდა იყოს კომპენსირებული იმ პირის მიერ, ვინც ამ სახსრებს გამოყოფს. ასეთი გზით მობილიზებული სახსრები ქმნის სახსრების თანხას, რომელიც განკუთვნილია მიმზიდველ საინვესტიციო პროექტებში დაბანდებისთვის, რომელთა განხორციელების გზით ფირმა აპირებს თავისი ღირებულების გაზრდას.

თუ საინვესტიციო პროექტი წარმატებულია, მას მოაქვს მოგება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, ფირმამ უნდა დაუბრუნოს სახსრების ნაწილი მათ, ვინც დააბანდა სახსრები საწყის კაპიტალში, მათი გამოყენების საფასურის სახით. მეორეც, ფირმა იყენებს დარჩენილ მოგებას იმ ფონდების გაზრდისათვის, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალ საინვესტიციო პროექტებში.

კორპორაციის (კომპანიის) ფინანსური ქვედანაყოფის ორგანიზაცია

სტრუქტურისათვის

ვიცე-პრეზიდენტი ფინანსურ საკითხებში

ფინანსური განყოფილების უფროსი

ფულადი ოპერაციების
კონტროლი და
რეგულირება
საინვესტიციო
გადაწყვეტილებები

ფინანსური
ანალიზი და
დაგეგმვა
სახსრების
შეძენა

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური სახარჯთაღრიცხვო
ანგარიშგება დოკუმენტაცია
გადასახადები დებიტორული
დავალიანება

საინვესტიციო
დაფინანსება

მმართველობის
ინფორმაციული
სისტემები

ხელფასი

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

სამეწარმეო სტრუქტურების ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია ინდივიდუალური საწარმო, ამხანაგობა და საზოგადოება. თითოეულ სტრუქტურას გააჩნია თავისი უპირატესობა და ნაკლოვანებები.

ინდივიდუალური კერძო საწარმო

ინდივიდუალური საწარმო – ეს საწარმოა, რომელსაც ფლობს ერთი ადამიანი. მაგალითად, ფირმა, რომელიც დასაქმებულია ბაღის ნაკვეთების მოვლით. ინდივიდუალური საწარმოს ზომა განისაზღვრება მისი მესაკუთრის სიმდიდრით, მაგრამ უმრავლესობას წარმოადგენს მცირე საწარმოები. აშშ-ში ინდივიდუალური საწარმოები შეადგენენ მოქმედი საწარმოების ძირითად პროცენტს, მაგრამ თავისი მცირე ზომის გამო ისინი უზრუნველყოფენ ამერიკული საწარმოების სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ მცირე ნაწილს.

ინდივიდუალური საწარმოს უპირატესობანი და ნაკლოვანებები

უპირატესობანი

- ფლობს მთელ მოგებას
- ადვილად იქმნება და უქმდება
- სახსრების შედავათიანი დაბეგვრა

ნაკლოვანებები

- შეუზღუდავი პასუხისმგებლობა
- მცირე ზომა
- სირთულე დამატებითი სახსრების შეძენაში

ამხანაგობა (პარტნიორობა)

ამხანაგობა (ან პარტნიორობა) – ორგანიზაციაა, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი საქმით დაკავებული ორი ან მეტი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ეს ფორმა უფრო ახასიათებს მცირე ბიზნესის საწარმოებს, მაგალითად ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურებს, გვხვდება აგრეთვე ასეთი ორგანიზაციული ფორმის მქონე მსხვილი საწარმოებიც. მაგალითად, ზოგიერთ საბუღალტრო ფირმასა და საინვესტიციო ბანკს გააჩნია 100-ზე მეტი პარტნიორი.

ამხანაგობების უპირატესობანი და ნაკლოვანებები

უპირატესობანი

- ადვილია ტალანტისა და სახსრების მოზიდვა
- გამოირჩეული მუშაკების სტიმულირება
- საწარმოს გაფართოება

ნაკლოვანებები

- ფირმა იშლება ერთ-ერთი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში
- ძნელია სახსრების გამოყვანა

ნოღარ სანავა

- უკეთესი შესაძლებლობები
კრედიტების მისაღებად

- არსებობს პარტნიორებს
შორის დაპირისპირებისა და
სკანდალის ალბათობა

საზოგადოება/კორპორაცია

საზოგადოება/კორპორაცია – ეს საწარმოა, რომელიც იმყოფება აქციონერთა მფლობელობაში და გააჩნია ფიზიკური პირის იურიდიული სტატუსის მსგავსი იურიდიული სტატუსი: მას შეუძლია დადოს ხელშეკრულებები, ფლობდეს საკუთრებას, მიმართოს სასამართლოს და იქნას სამართალში მიცემული. მას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც იქმნება შტატის ადმინისტრაციის ნებართვით სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მას გააჩნია არსებითი შედეგები იმაში, რაც ეხება პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებები შეადგენენ ამერიკის საწარმოების საერთო რიცხვის მხოლოდ მცირე პროცენტს, მათ წილზე მოდის სავაჭრო ბრუნვის ძირითადი მოცულობა. საზოგადოების ზომა შეუზღუდავია.

ორმაგი დაბეგვრის გავლენა კორპორაციის მოგებაზე

	ინდივიდუალური საწარმო ან ამხანაგობა	კორპორაცია
მოგება დაბეგვრამდე	\$100.00	\$100.00
მოგების გადასახადი (30%)	არა	-30.00
მოგება დაბეგვრის შემდეგ	100.00	70.00
საშემოსავლო გადასახადი (28%)	-28.00	-19.60
მფლობელთა შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ	72.00	50.40

კორპორაციების უპირატესობანი და ნაკლოვანებები

უპირატესობანი

- შეზღუდული პასუხისმგებლობა
- ფუნქციონირების პოტენციურად გრძელი ვადა
- მფლობელობის უფლებების გადაცემის სიმარტივე
- ახალი კაპიტალის მიზიდვის სიმარტივე
- ზრდის უნარი

ნაკლოვანებები

- ორგანიზაციის უფრო ძვირად ღირებული ფორმა
- მომატებული დარეგულირებადობა
- კონფედენციალობის არარსებობა
- ორმაგი დაბეგვრა

შემოსავლების რეგულირება

სამეწარმეო საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი არ იბეგრება. ამიტომ ხშირად წარმოიქმნება საკითხი თუ როგორ შევამციროთ დასაბეგრი ბაზა. აქ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ამორტიზაცია.

ამორტიზაცია. ამორტიზაცია – ეს დასაბეგრი შემოსავლის შემცირებაა, რომელიც ასახავს ნაკეთობის ღირებულების შემცირებას შემოსავლის შექმნის პროცესში. განვიხილოთ კომპანიის მაგალითზე, რომელიც ყიდულობს ახალ გემს სამგზავრო გადაზიდვების განხორციელებისათვის. მოცემული ფირმა აბანდებს სახსრებს და ელოდება შემოსავლების მიღებას მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში გემი დაცურავს და ბუნებრივად განიცდის ცვეთას.

მაშასადამე ხომალდის ღირებულება მცირდება. ათი წლის შემდეგ, კომპანიის აზრით, გემი უკვე არ გამოიყენება სამგზავრო გადაზიდვებისათვის, ამიტომ უნდა გაიყიდოს ნარჩენი ან სალიკვიდაციო ღირებულებით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება ისეთი თანხაა, რომლითაც კომპანიას შეუძლია მისი რეალიზება მისი სასარგებლო მუშაობის ვადის გასვლის შემდეგ.

საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, აქტივების ღირებულება, მაგალითად გემის, თანდათან მცირდება. წლის განმავლობაში ასეთი შემცირების ასახვისათვის არსებობს განსაზღვრული აღრიცხვის წესები, რომელთა დამატებით ხდება დარიცხული ცვეთის გაანგარიშება საწარმოს შემოსავლების თანხიდან, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს გადასახდელი გადასახადების საერთო თანხაზე.

არსებობს დარიცხული ცვეთის გაანგარიშების ორი ძირითადი ხერხი: ამორტიზაციის დარიცხვის ხაზოვანი მეთოდი (the straight-line depreciation) და შეცვლილი დაჩქარებული დანახარჯების ანაზღაურების სისტემა (Modified Accelerated Cost Recovery System (MACRS)). ამორტიზაციის დარიცხვის ხაზოვანი მეთოდი დაფუძნებულია აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე, რომელიც უდრის მის ღირებულებას მოსალოდნელი სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით. **დარიცხული ცვეთა** – ეს ამორტიზირებული ღირებულებაა, გაყოფილი ცვეთის დარიცხვის პერიოდის წლების რაოდენობაზე. თუ, მაგალითად, გემის საწყისი ღირებულება შეადგენს 10 მლნ. დოლარს, და თუ გაანგარიშებით მისი სა-

ლიკვიდაციო ღირებულება შეადგენს 1 მლნ. დოლარს 10 წლის შემდეგ, ეს ნიშნავს იმას, რომ გემის ამორტიზირებული ღირებულება შეადგენს 9 მლნ. დოლ. ცვეთის თანაბარი დარიცხვის შემთხვევაში, ყოველწლიური ცვეთის დარიცხვის თანხა შეადგენს 900000 დოლარს.

საერთოდ, თუ აქტივს აქვს საწყისი ღირებულება (I დოლ.), სალიკვიდაციო ღირებულება (SV დოლ.) და ამორტიზაციის პერიოდი (n) წლის განმავლობაში, მაშინ წლიური ამორტიზაცია, გაანგარიშებული ცვეთის თანაბარი დარიცხვის მეთოდით (D), განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$D = \frac{I - SV}{n}.$$

თუ ამ განტოლებას გამოვიყენებთ ჩვენ მაგალითში, მივიღებთ ცვეთის ყოველწლიური დარიცხვის თანხის მნიშვნელობას:

$$D = \frac{\$10000000 - \$1000000}{10} = \$900000.$$

დანახარჯების შეცვლილი დაჩქარებული ანაზღაურების სისტემაში მოწყობილობის ნებისმიერი სახე ტარდება სასარგებლო სამუშაო ვადების მიხედვით. აქ არ არის გათვალისწინებული სალიკვიდაციო ღირებულება. ფედერალური კანონმდებლობა განსაზღვრავს საამორტიზაციო ანარიცხების ყოველწლიურ პროცენტს. ამჟამად დაწესებულია, რომ დროის ათვლა იწყება წლის შუა პერიოდიდან, მიუხედავად იმისა, თუ როდის იყო შეძენილი მოწყობილობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ებარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა - მენეჯმენტი და ადმინისტრირება, სახელმძღვანელო, თბილისი, 2007.
2. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაპოვიჩი, უმცრ. - ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, "საქართველოს მაცნე", 2008.

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური
პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის
(საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 24.11.14.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.11.14.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,5.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი